იალნოს ქედის და მიმდებარე ტერიტორიების ფიზიკურ - გეოგრაფიული კარტოგრაფირება

ნინო მაღლაკელიძე

ელ-ფოსტა: nino.maghlakelidze008@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

სამაგისტრო ნაშრომში - იალნოს ქედის და მიმდებარე ტერიტორიების ფიზიკურ - გეოგრაფიული კარტოგრაფირება განხორციელებულია იალნოს ქედის, მარტყოფის და იალნოს ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარის ტერიტორიის კარტოგრაფიული მასალის მოძიების მცდელობა. ასევე, თანამედროვე შეხედულებებისა და მაგისტრანტის დაკვირვების საფუძველზე, აღნიშნული ობიექტების კულტურული ლანდშაფტების რუკების შედგენის ცდა და ყველა ამ მასალის წარმოჩენა რუკების კრებულის სახით.
ნაშრომში მოცემულია იალნოს სტაციონარის მიდამოების ფიზიკურ გეოგრაფიული დახასიათება, ლანდშაფტები და ზოგიერთი მახასიათებლის ანალიზი, ასევე ფიზიკურ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური და ზოგიერთი ლანდშაფტური მახასიათებლის რუკათა კრებული. განხორციელებულია იალონის ქედის მთისწინების ლანდშაფტების კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების კარტოგრაფირება. განხილულია, ევროსაბჭოს 2000 წლის ლანდშაფტურ კონვენციასთან დაკავშირებით ლანდშაფტების კარტოგრაფირების ზოგიერთი საკითხი. მოცემულია იალონის ქედის მთისწინების ლანდშაფტების ძველი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების და ახალი კულტურული ბუნებრივი-ტერიტორიული კომპლექსების რუკის შედარებითი ანალიზი.
ნაშრომი შესრულებულია ლიტერატურულ და კარტოგრაფიული წყაროებზე დაყრდნობით და ჩატარებული კვლევების შედეგად შეგროვებული მასალების ანალიზის საფუძველზე.